გამოცხვება კვერი ობლის, გაუყურებს ტკივილებს, ოლონდაც თქვით, ვინ იცნობდით, ვინ იცნობდით ირინეს.

მხოლოდ ცეცხლში, მხოლოდ ცეცხლში, ცეცხლში გამოიცადა, პოლონეთში, პოლონეთშიც საქართველოს იცავდა.

აჯანყდა და მტერი ხოცა, ბინად ჰქონდა სანგარი, საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შეილი დასაკარგავი...

პოვონსკაში თეთრი გორა მოუჩითავო გვირილებს, ირინოლა, ირინოლა, ირინოლა, ირინე.

აჯანყდა და მტერი ხოცა, ბინად ჰქონდა სანგარი, საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შეილი დასაკარგავი...

## გოიჩი და გაქარაი

არა გქონია გულში არც დარდი, დარდი თუ იყო, აღარც იცოდი, ოქრო და ვერცხლი თავზე გადაგდის, ქრისტე არა გნამს, დახვალ ბზის ტოტით.

რომ დაგიჩოქო, სამ გროშს ვერ მომცემ, მე კი განვდილი ხელი გამიხმა, დგახარ წარმართთა სამლოცველოში, ისე კი ვითომ ქრისტიანი ხარ.

დადიხარ მარად სიამოვნებით საკუთარ თავის შესანიშნავით, მე კი ხელთა მაქვს სია გონების, რომელ სიაშიც შენ ხარ პირველი.

საკუთარ სისხლის არ ხარ დამღვრელი, მოძმისთვის გული არ გედალება, გასკდა გული და გასკდა ნალველი, იძახე ახლა რა მენადვლება!

## განუოკაბა

შენ ნუ გგონია, რამეს ვდარდობ, რამეს მივტირი, ნურც იმას ფიქრობ, უზენაესს რამეს შევუთქვამ, — მე მიჭირს შენთან განშორება, თორემ სიკვდილი, სიკვდილი რაა — სულის გაყრა ცოდვილ სხეულთან.

## პათის პირობით

მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი, მევალისათვის მიმატანინე ვალი, გზაბნეულისთვის მასწავლებლად გზები, შეუნამლავი შემანამვლინე ზვრები, მომაძებნინე სხვაგან დამარხული ძმები, ამ ჩემს მამულში დამამარხვინე ძვლები, მათქმევინე: ქვეყნად სიცოცხლე ღირდა, მერე წამოვალ, წამოვალ, საცა გინდა!



2007 წელს ჩვენს ქვეყანაში არაპრივატიზებული რკინიგზის, მატარებელი „შპს“-ს დირექციამ დაახლოებით 50%-ით შეამცირა ადგილობრივი მიმოსვლის მატარებლების რაოდენობა. რეფორმებამ მონათლული ასეთი უსახური გადაწყვეტილებები ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს რომ არ ემსახურება, ეს იმ ზაფხულს მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლებამაც აჩვენა, რომელიც ბათუმი-ოზურგეთის საბარეზო მატარებელს შეეხებოდა.

# SOS – საქართველოს რკინიგზა საფრთხეშია

ცნობები რკინიგზის შესაძლო გასხვების თაობაზე საზოგადოებისთვის გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს, რადგან აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში, დიდი ხანია, დგას. აქ მთავარია მისი მიზანშეწონილობა, ანუ რკინიგზის გასხვების შემთხვევაში ქვეყანა რა სარგებელს მიიღებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ხელისუფლება დუმს და არც ჩვენს მიმართვებზე რეაგირებს, რაც ბადებს გარკვეულ ეჭვს.



ვალერიან მაყშვიციანი

## «2001 წელს ესტონეთში რკინიგზის ინფრასტრუქტურა და გადაზიდვების ოპერაციების მართვა აპრიკულ კომპანიას გადასხეს. ამან ქვეყნის განვითარებაზე კალჯად უარყოფითად იმოქმედა და ესტონეთის მთავრობამ საბოლოოდ 250 მილიონი დოლარი გადაიხდა იმისთვის, რომ თავისი ქვეყნის რკინიგზა გამოეხსიდა»

ვიდრე რკინიგზის პრივატიზებაზე ვიმსჯელებთ, უმჯობესი იქნება, გავისწავლოთ, თუ აღნიშნული დარგი რა როლს ასრულებს სახელმწიფოთა განვითარებაში და სარკინიგზო ქსელი საქართველოსთვის რით არის მნიშვნელოვანი. კერძოდ, ცნობილია, რომ

1. რკინიგზა საკვანძო როლს ასრულებს ქვეყნის ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების საკითხებში;
2. საკინიგზო სისტემა ადამიანის რესურსებით მრავალრიცხოვანია (ჩვენს შემთხვევაში — დაახლოებით ოცი ათასი) და ბიზნესის განვითარებისთვის შესანიშნავ წყაროს წარმოადგენს;
3. რკინიგზა თავისი მასშტაბით უსაზღვროა — ის განლაგებულია ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე და, მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარე, მჭიდრო ურთიერთობები გააჩნია სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით ეკონომიკურ საკითხებში;
4. ურთულესი სპეციფიკიდან გამომდინარე, რკინიგზა კარდინალურად განსხვავდება სხვა დარგებისგან, მათ შორის ტრანსპორტის სხვა სახეობებისგან. რკინიგზა არის რამდენიმე მეტრიტრენის შესწავლის საგანი და ის საჭიროებს პროფესიონალურ მართვას;
5. რკინიგზა ბევრი ქვეყნისთვის და მათ შორის საქართველოსთვის არის ქვეყნის საერთაშორისო-ეკონომიკური ფუნქციის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენი (ცნობილია, რომ გეოგრაფიული მდებარეობისა და სატრანზიტო გამართონარიანობის ზრდის გამო, ყველა სახელმწიფო ცდილობს, ჰქონდეს საერთაშორისო-ეკონომიკური ფუნქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მის დამკვიდრებას მსოფლიო ბაზარზე სერიოზული პრობლემები ექმნება. საქართველო მდებარეობს იმ დერეფანში, რომე-

ლიც აკავშირებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ევროპასა და აზიას. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან დაიწყო საუბარი ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო ფუნქციაზე, ეს იდეა იქნა რეალიზებული და დღეს, ამ სატრანსპორტო დერეფანზე აღარავინ კამათობს. კერძოდ, „აბრეშუმის გზის“ დერეფანში მილსადენების გარდა, საქართველოს რკინიგზა არის ყველაზე დიდი დატვირთვით მოქმედი სატრანსპორტო საშუალება. მომავალში მას იმის შესაძლებლობა ეძლევა, რომ აზერბაიჯანის, სომხეთისა და გარკვეულწილად შუა აზიის ქვეყნების იმპორტისა და ექსპორტის დიდი ნილი (გარდა ნავთობისა და სხვა სახის სანავთობო-ნიშნის, გაატაროს, გადააბრუნოს და ა. შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რკინიგზებზე ასოციაციის გაგვიანია ჩვენი შეხედულებები და პოზიციები იმასთან დაკავშირებით, თუ ქვეყანა რა შედეგებს მიიღებს რკინიგზის პრივატიზაციის შემთხვევაში, სახელდობრ:

1. საწარმო მოემსახურება რა მის მფლობელს, ქვეყნისა და ხალხის ინტერესები უკანა პლანზე გადავა. კერძოდ, ეს გამოიწვევს სადგურების, დეპოების, სხვა საწარმოებისა და, შესაბამისად, მომუშავეთა რაოდენობის შემცირებას; ტარიფების ზრდას და სხვა, რაც გამოიწვევს მოსახლეობის სოციალური საკითხების იგნორირებას. მაგალითად:

- ა) 2001 წელს ესტონეთში რკინიგზის ინფრასტრუქტურა და გადაზიდვების ოპერაციების მართვა (66%) ამერიკულ კომპანიას გადასცეს. კომპანიის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა გიგანტური მუდრეწობის მოცულობა-შენახვისთვის საჭირო თანხების რაოდენობა, რის გამოც საგრძნობლად გაუარესდა

ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, სრულიად შეწყდა სამგზავრო გადაზიდვები ქვეყნის შიგნით, განხორციელდა მუშა პერსონალის მასიური შემცირება და სხვა.

ამან ქვეყნის განვითარებაზე ძალზედ უარყოფითად იმოქმედა და ესტონეთის მთავრობამ საბოლოოდ 250 მილიონი დოლარი გადაიხდა იმისთვის, რომ თავისი ქვეყნის რკინიგზა გამოეხსიდა;

ბ) 2007 წელს ჩვენს ქვეყანაში არაპრივატიზებული რკინიგზის, მატარებელი „შპს“-ს დირექციამ დაახლოებით 50%-ით შეამცირა ადგილობრივი მიმოსვლის მატარებლების რაოდენობა. რეფორმებამ მონათლული ასეთი უსახური გადაწყვეტილებები ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს რომ არ ემსახურება, ეს იმ ზაფხულს მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლებამაც აჩვენა, რომელიც ბათუმი-ოზურგეთის საბარეზო მატარებელს შეეხებოდა.

მაშასადამე, კერძო საკუთრებაში არსებული რკინიგზა სრულყოფილად ვერ გამოხატავს ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს წინსვლის კუთხით;

2. რკინიგზის პრივატიზაცია საქართველოსთვის არც ეკონომიკურად უნდა იყოს მომგებიანი. დავუშვათ, ჩვენს რკინიგზაზე განხორციელდა ინვესტიციები გარკვეული ოდენობის. ცხადია, ეს დადებითი მოვლენა იქნება, მაგრამ, ბიზნესის არსიდან გამომდინარე, მეტი მოგების თვალსაზრისით, ის კომპანიის მესვეურთა კერძო ინტერესებით იქნება გამოწვეული და არა დარგის

განვითარების ინტერესებით, ანუ ინვესტიციებით მიღებული დღევანდელი მოგება დარგისა და ქვეყნის განვითარებას ნაკლებად მოემსახურება;

3. გასათვალისწინებელია კიდევ ის გარემოება, რომ მსოფლიოს ნაშთი ქვეყნების ეკონომიკური დაინტერესება კავასიაში, უპირატესად, საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით არის გამოწვეული, რაც პირდაპირკავშირშია რკინიგზასთან, ამიტომ ჩვენი ქვეყნისთვის უმთავრესი პრიორიტეტი თუ ეკონომიკური აღმავლობაა (ეს ასეც უნდა იყოს), მაშინ სახელმწიფოს ეკონომიკის ერთ-ერთი უდიდესი დარგის მაქსიმალურად გამოყენება საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ, ჩვენი ქვეყნის კომპეტენტური სპეციალისტების ინტერესთა სფეროში უფრო უნდა შედიოდეს, ვიდრე სხვების, თან არასპეციალისტების;

4. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რკინიგზის გასხვისება საქართველოსთვის დადებითი შედეგების მომტანი არ იქნება იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ რკინიგზის გიგანტური სანარმო ორგანიზმი თითქმის შუაზე ყოფს ჩვენს პატარა, მთავარიანი რელიეფის მქონე ქვეყნის მიწა-წყალს;

5. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ევროპის რკინიგზებზე რეფორმების ხანგრძლივობა საშუალოდ 3-4 წელია. ეს იმიტომ, ის კომპანიის მესვეურთა კერძო ინტერესებით იქნება გამოწვეული და არა დარგის

დაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის. მაშასადამე, რკინიგზის პრივატიზებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები მაღალგანვითარებული ქვეყნების ცხოვრებაზე თუ დიდ ზეგავლენას ვერ ახდენს, განვითარებადი ქვეყნისთვის ეს მიუღებელი უნდა იყოს, მითუმეტეს, მას თუ ჯერ კიდევ სიღარიბის პრობლემა აქვს დასაძლევ (მათ შორისაა საქართველო);

6. ექსპერტების მონაცემებით, ნამგებიანი ხაზები შეადგენს ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის სარკინიგზო ქსელების თითქმის ნახევარს და მათი დოტაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება. ამიტომაც, რაც დრო გადის, ევროპის სახელმწიფოები უფრო და უფრო ეწინააღმდეგებიან რკინიგზების ბიუჯეტიდან დაფინანსებას და ცდილობენ მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საფრანგეთში მიზანშეწონილად მიიჩნევენ რკინიგზის სახელმწიფო დაქვემდებარებაში დაბრუნებას და სხვ.

ზემოაღნიშნული ფაქტორები იმაზე მიუთითებს, რომ რკინიგზების პრივატიზება სახელმწიფოთა განვითარების მხრივ დადებით როლს არ ასრულებს. ყოველ შემთხვევაში, რკინიგზის გაყიდვით საქართველო ავტომატურად დაკარგავს იმ სტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ წონას, რაც ამ რკინიგზის ფლობით, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, აქვს. ასე რომ, რკინიგზის გაყიდვა საქართველოსთვის

ვის მიუღებელი უნდა იყოს, რადგან ასეთ შემთხვევაში ქვეყანა გაცილებით მეტს დაკარგავს, ვიდრე თანხის ან რაიმე დივიდენდების სახით მიიღებს.

ის ფაქტი, რომ ამჟამად საქართველოს რკინიგზა მეტად არასახარბიელო მდგომარეობაშია, გამომდინარეობს ხელისუფლების მცდარი პოლიტიკიდან აღნიშნული დარგისადმი მიდგომისა და მართვის საკითხებში. კერძოდ, ეს არ უნდა ხდებოდეს პროფესიონალებით მდიდარ ქვეყანაში და, თუ მაინც მოხდა, ეს არ უნდა იძლეოდეს იმის უფლებას, რომ ჩვენი სამშობლოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგი, მისი მრავალათასიანი კოლექტივი (ოჯახებით) და, საერთოდ, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოციალურად დაუცველ და კაბაწვეული მდგომარეობაში აღმოჩნდეს უცხო კომპანიების კერძო და სუბიექტური ინტერესების გამო. პირიქით, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია, მოძებნოს ისეთი გზები, რომლებიც ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს ყოველმხრივ წაადგება. ასეთი გზები არსებობს და ისინი განვითარების თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმებიდან გამომდინარეობს. ამას ითვალისწინებს ევროკავშირის დირექტივები და მასზე მიუთითებს ევროპული გამოცდილება. საქართველოს რკინიგზაზე მათი დანერგვა ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის განტკიცების საკმეში. მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენი ქვეყნის რკინიგზის გასხვისების მცდელობა მაინც შეინიშნება. ამას ადასტურებს ყოფილი ეკონომიკის მინისტრის, ბატონი არველასის 2007 წლის განცხადება, როცა რკინიგზის მესაკუთრედ დასახელდა ერთი ინგლისური ფირმა (2008 წ. 28 თებერვალი — 5 მარტი, გაზეთი „ყველა სიახლე“ №9. 2007 წლის აგვისტოში ბრიტანულმა კომპანიამ Parqild Investment-მა „საქართველოს რკინიგზა“ 98-წლიანი მართვის უფლებით შეიძინა. ინვესტორმა 10 წლის განმავლობაში 1 მილიარდი დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება აიღო. ახალი ინვესტორის შესახებ საზოგადო-

### «ბიკრთბანკის 30-40%-ით მატების პირობაზე (16 ბლნ-დან — 22 ბლნ ლომადე) ფინანსური უზრუნველების საერთო რაოდენობა, ნახვლად პირობები უზრუნველდება, კვლავ 2003 წლის დონეზე, ნელინადმი საუბაროდ დაახლოებით 250 მილიონი ლარია»

## ანა ჩაქვატაძე — ღუთის საარჩევნო სიაში

პარტია „პრავე დელო“ წარმომადგენელი, 24 წლის ჩოგბურთელი, რუსეთის ჩემპიონი ანა ჩაქვატაძე პარტიული სიის პირველ სამეტელში შეიყვანა, რის შედეგადაც ჩაქვატაძის გვარი საარჩევნო ბიულეტენშიც მოხვდება. კანდიდატების სია პარტიის ყრილობაზე დამტკიცდა. სიის თავში არიან „პრავე დელოს“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ანდრეი ლუნაევი და ანდრეი ბოგდანოვი. შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ პარტია მისმა დამფუძნებელმა, რუსმა მილიარდელმა მიხეილ პროხოროვმა დატოვა.



## „შავი სექტემბერი“ — ბაქოსთვის

ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარე რეუვენ რივილინმა იუდეაში განაცხადა, რომ მიმდინარე თვე „შავ სექტემბერად“ იქცევა გაეროს გენერალური ასამბლეისთვის. „ეს სექტემბერი შავი სექტემბერი გახდება არა ისრაელისთვის, არამედ გაეროს გენერალური ასამბლეისთვის და ისრაელისა და პალესტინის ურთიერთობისთვის. მე აქ ვარ იმისთვის, ვთქვა, რომ ისრაელის გვერდის ავლის იდეა ილუზიებს ეფუძნება, — განაცხადა ქნესეთის ხელმძღვანელმა.





რკინიგზაზე მიმდინარე მოვლენები მიმართულია არა ადამიანის უფლებების დაცვისა და დარგის აღორძინებისკენ, არამედ ისინი შეგნებულად ემსახურება რკინიგზალთა დისკრიმინაციას, დარგის გაპარტახებასა და გაკომტრებას, ცოდნისა და გამოცდილების განდევნას, მომავალში მისი თავისუფლად და იაფად გაყიდვის მიზნით. ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ 30 ათასზე მეტი რკინიგზალის ოჯახი, ანუ ძველნი მოსახლეობის 100 ათასზე მეტი ადამიანი სიღუბეში ცხოვრობს.

# სასაზღაო რკინიგზალთა დისკრიმინაცია

ღმრთა დეტალური ინფორმაცია არ შეიძლება Parqfil Investment-ის აღმომჩნდა ოფისში დარეგისტრირებული ახალი კომპანია, რომელსაც ვებგვერდიც კი არ შეიძლება. ტენდერის პირობები და მასში მონაწილე კომპანიათა ვინაობა დღემდე საიდუმლოდ რჩება. საქართველოს ხელისუფლება ირწმუნება, რომ Parqfil Investment-მა საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის განვითარების ყველაზე საუკეთესო პირობები წარმოადგინა, მაგრამ მასთან გარიგება ორივე თვეში ჩაიშალა. ეკონომიკური განვითარების მინისტრის განცხადებით, მხარეები ხელშეკრულების პირობებსა და რიგ დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ, თუმცა საზოგადოებაში აღნიშნულთან დაკავშირებით სხვა ინფორმაცია არსებობს; კერძოდ, მაშინ ამის განხორციელებას გარკვეულწილად ხელი შეუშალა ბატონი ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებამ, რომელმაც ის გარიგება ქვეყნის პრეზიდენტის ოჯახის ინტერესებთან დააკავშირა (რასაც შემდგომში ფართომასშტაბიანი მიტინგები მოჰყვა).



### «რკინიგზის ბიბანტური შეკრება განიხილეს რეგულაციის, დაუხველია აბსაკრებულთა უსაფრთხო მოქმედება, შეუპოვანი სერიის შეფარება და წინააღმდეგობა, გაუარესდა გზის მოვლა, მატარებელთა მოქმედების გარეგანი სიჩქარე კვლავ 60 კმ/სთ-ია»

რეგულირების ძიებების შედეგად დაპირებული უკეთესობის ნაცვლად კატასტროფის მდგომარეობაში აღმოჩნდა. კერძოდ, მთლიანად ამორტიზებულია მოქმედების განხორციელების უზრუნველყოფის ნორმატივების დარღვევის გამო რკინიგზის ბიბანტური მთავარი ხაზის რეკონსტრუქციის დასრულება და უსაფრთხო მოქმედება, მთავარი ხაზის რეკონსტრუქციის დასრულება და უსაფრთხო მოქმედება, მთავარი ხაზის რეკონსტრუქციის დასრულება და უსაფრთხო მოქმედება.

დარგის არაკომპეტენტური მართვის შედეგია. მაგ., ტვირთბრუნვის 30-40%-ით მატების პირობებში (16 მლნ-23 მლნ ტონა) ფინანსური შემოსავლების საერთო რაოდენობა, ნაცვლად პროპორციული ზრდისა, კვლავ 2003 წლის დონეზე, საშუალოდ წელიწადში დაახლოებით 250 მილიონი ლარია, რაც დარგის საერთო შემოსავლების შემცირებაზე მეტყველებს. მიხედვითი ანგარიშები გვიჩვენებს, რომ ფინანსური დანაკარგების საერთო რაოდენობა საშუალოდ წელიწადში 300-400 მილიონი ლარს ფარგლებში მერყეობს, რაც საგრძობად აღემატება ფაქტობრივ შემოსავლებს. ეს ნიშნავს, რომ რკინიგზაზე არსებული კორუფცია 70%-ს აჭარბებს.

რო და უფრო უარესდება. რა თქმა უნდა, ეს აღმშენებლები იმ ფონზე, როცა რკინიგზის არსებული შემოსავლების ორჯერ და მეტად გაზრდის საშუალებები და უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობები არსებობს. დარგის სპეციალისტებმა ეს შესანიშნავად იცნა, მაგრამ ამით მდგომარეობა არ იცვლება, რადგან პატიოსანი და ღირსეული ინჟინრები და მეცნიერები, რომლებიც დარგში უკეთესობის შექმნას ცდილობენ, გარიყულები და დევნილები არიან. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი არსებობს და მათგან ერთ-ერთი არის დღევანდელი ბრიფინგი, რომელსაც ჩვენი ასოციაციის გამგეობის შვიდი წევრიდან ოთხი არ ესწრება სამსახურიდან განთავისუფლების შიშით.

ყოველივე ამის შემდეგ მთავრობამ „საქართველოს რკინიგზაზე“ ინტერესთა გამოხატვის შესახებ ახალი განაცხადი გააკეთა, რასაც 2008 მოხმარებები მოჰყვა (2008 წელს „საქართველოს რკინიგზის“ განვითარების შესახებ საკუთარი ხედვები წარმოადგინეს ამერიკულმა „სტრატეჯიკ პოლიტიკა“ და „ისთ ქეფითალი ინვესტიმენტ გრუფმა“, ყაზახურმა „სილქ როუდ გრუფმა“ და რუსულმა „ცენტრ ინვესტი კეფითალი პარტნერსმა“). მას შემდეგ საქართველოს მთავრობა რკინიგზის გასახვის რამდენიმე განსხვავებულ მოდელზე აღაპარაკდა, რაც დღესაც გრძელდება. მაშასადამე, საქართველოს ხელისუფლებას სურს რკინიგზის გაყიდვა, ამიტომ ლოგიკურია, დაესვათ კითხვა, თუ რატომ სურს ქვეყნის შენების დაპირებით მოსულ ხელისუფლებას ქვეყნის შენებისთვის უზენაესი ინტერესები რკინიგზის გაყიდვა, მითუმეტეს, თუ უკვე ცნობილია, რომ მსგავსი ექსპერიმენტები დადებით შედეგებს არ იძლევა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო საკითხები იგნორირებულია და ქვეყნის მართვაში ჭარბობს კერძო, სუბიექტური მოსაზრებები. ასეთი მოქმედებები პირდაპირ მიუთითებენ ფარისებრობაზე, რაც წინსვლას შეუძლებელს ხდის. ყოველ შემთხვევაში, ამის თვალსაჩინოებას წარმოადგენს საქართველოს რკინიგზა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში გატა-

## რკინიგზალთა ასოციაციის 8 შეკითხვა საქართველოს ხელისუფლებას

- №1 — რამ გამოიწვია რკინიგზაზე ეფექტურობის შემცირება (30-40%-ით) მაშინ, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ქვეყნის აშენებაში წარმატებების მიღწევას სამართლიანად ფიქრობდნენ ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებით?
№2 — ხელისუფლების განცხადებები, ქვეყანაში კორუფციის აღმოფხვრისთან დაკავშირებით შეეხება თუ არა რკინიგზას მაშინ, როცა აქ ტვირთბრუნვამ დაახლოებით 30-40%-ით (6-7 მლნ ტონა) მოიმატა, ხოლო შემოსავლების რაოდენობა არ გაიზარდა?
№3 — მაშინ, როცა მსოფლიოში ურთულესი სპეციფიკის მრავალდარგოვან სარკინიგზო სისტემას მცოდნე, გამოცდილი, პროფესიონალები მართავენ, საქართველოს რკინიგზაში რატომ არ ხდება პროფესიონალების სათანადოდ გამოყენება და, საერთოდ, აღნიშნული დარგის მმართველობის სათავეში რატომ არიან არაკომპეტენტური და გამოუცდელი პიროვნებები?
№4 — მაშინ, როცა მონივრულ ქვეყნებში წარმატებებს თავისუფალი განვითარებითა და ცოდნა-გამოცდილების მეშვეობით აღწევენ, საქართველოს რკინიგზიდან განდევნილია ცოდნა-გამოცდილება (ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს რკინიგზიდან განუკითხავად ათასობით კომპეტენტური სპეციალისტი და პროფესიონალი გაათავისუფლეს), რამაც სისტემაში, თავისუფალი განვითარების ნაცვლად, შიშის სინდრომი დაწერა. რამ გამოიწვია ეს?

- №5 — რატომ ირღვევა საქართველოს კონსტიტუცია (მუხლები 7, 17, 19, 24, 44) და შრომის კოდექსი (ძირითადად, — მე-2 მუხლი) ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში და ჩვენი ქვეყანა თუ შედგა, აღნიშნულთან დაკავშირებით რატომ არ დგება რკინიგზის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი?
№6 — რატომ არღვევს სასამართლო საქართველოს კონსტიტუციას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხებში და ასეთ შემთხვევებში რატომ არ დგება მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხი (მაგ. ვალერიან მაყიშვილის საქმესთან დაკავშირებით მოსამართლეების: ი. ადემიშვილის, ქ. კუჭავას, მ. სულხანიშვილის)?
№7 — ქვეყანაში პასუხისმგებლობის როგორ ფორმა არსებობს და კონკრეტულად ვინ აგებს პასუხს რკინიგზის კატასტროფულ მდგომარეობაში ჩაყენებისთვის და რკინიგზელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესებასთან დაკავშირებით; იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, რკინიგზა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და ის „მხოლოდ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგეობას მიეკუთვნება“?
№8 — როდის აღიკვეთება რკინიგზაზე უკანონო და როდის შეიქმნება იმის პირობები, რომ უკეთესი მომავალი რკინიგზებზე მათთვის შეიქმნას?

რკინიგზელთა ასოციაციის აზრით, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ერთადერთი გზა არსებობს და ის დამოკიდებულია ჩვენზე, რკინიგზელზე, ქართულ საზოგადოებაზე. კერძოდ, წარმატების მიღწევა შესაძლებელია რკინიგზელების გაერთიანებით, ჩვენი ერთიანი ძალისხმევით, თავისუფალი განვითარებით, გონივრული მმართველობით, საქმის მცოდნე, გამოცდილი, ნამდვილი პროფესიონალების შერჩევით, მათი ინიციატივებისთვის საზოგადოების მხარდაჭერითა და სხვა მონივრულ მეტოქეების მეშვეობით. უმჯობესია, ამ პროცესებში ყველა რკინიგზელი თუ მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის — რეფორმების საბაზით სამსახურიდან ათასობით დათხოვნილი, მომავალში მათი უკან დაბრუნების მიზნით, რადგან ჩანს, რომ რეფორმები რკინიგზაზე ჯერჯერობით არ ჩატარებულია.

**პალესტინა**  
გაყივილი,  
საქართველოს  
რკინიგზელთა ასოციაცია  
თბილისი,  
2011 წლის აგვისტო

## პალესტინა მატარებელთა სიჩქარე გახდა

140 ხმით ერთი ნინალმდეგ სანქტ-პეტერბურგის ექს-გუბერნატორ ვალენტინა მატვიენკო რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერად არჩიეს. ამრიგად, იგი გახდა პირველი ქალი რუსეთის ისტორიაში, რომელმაც ასეთი მაღალი პოსტი დაიკავა. რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერის თანამდებობა სერგეი მირონოვის გადადგომის შემდეგ გახდა ვაკანტური. ფედერაციის საბჭოს ათწლიანი ხელმძღვანელობის შემდეგ მან პოსტი 18 მაისს დატოვა, პეტერბურგის სათათბიროს მიერ ფედერაციის საბჭოდან მისი გამოწვევის გამო.



## პალესტინა გაეროში განაცხადის განაცხადი

პალესტინამ გაეროს წევრობის მოთხოვნით ორგანიზაციაში განაცხადი წარადგინა. პალესტინის ავტონომიის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა განაცხადი უშუალოდ გაეროს გენერალურ მდივან პან გი მუნს გადასცა. აღნიშნულ თხოვნას განიხილავს გაეროს უშიშროების საბჭო, რომელიც გენერალურ ასამბლეას რეკომენდაციით მიმართავს. როგორც ცნობილია, ცოტა ხნით ადრე ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ აშშ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას პალესტინასთან დაკავშირებით ვეტოს დაადებს.



# ისტორია

www.geworld.net  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

2011 წლის 26 თებერვალს საზოგადოებრივ არხზე ვუყურებ ბ-ნ სანაიას გადაცემას „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“. ამ გადაცემის მსვლელობისას ნათლად დავრწმუნდი, თუ როგორი ალმავლობით მიმდინარეობს საქართველოში ტვინის გამორეცხვისა და ხალხის გამოთავანების პროცესი. აქამდე თუ შეპარვით და მინიშნებით ლაპარაკობდნენ ბოლშევიზმისა და ფაშისტების მსგავსებაზე, ახლა უკვე ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, პირდაპირ აცხადებენ და ბოლშევიზმს ფაშისტთან, ხოლო კომუნისტებს ფაშისტებთან აიგივებენ. იმ ხალხს კი, ვინც ომის დროს ტყვედ ჩაბარდა (და არა — ჩავარდა) და ჰიტლერის მხარეს იბრძოდა, გმირებად და ქვეყნის პატრიოტებად წარმოგვიჩვენებენ. პირდაპირ სამარცხინოა ყველაფერი ეს. ეს ხალხი ან ისტორიის ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევიან, ანდა, უბრალოდ, დემიგოგის ენევიან.



ომარ გოცაძე:

## ყორალ, ბიჭებო, გეძღარტან მებრები ხარტი!

მევესალმები გადაცემაში მონაწილე ბ-ნ კუდავას და მის გამომცემლობას ამ წიგნების ქართულ ენაზე გამოცემისთვის. ისინი აუცილებლად უნდა წაიკითხო, რომ მართლაც ნათელი წარმოდგენა შეგექმნას გრიგოლ რობაქიძეზე. ორი აზრი არ არსებობს და არც სადავოა, რომ ბატონი რობაქიძე ნიჭიერი კაცი და კარგი მწერალი იყო. ამასთან, საკმაოდ შორსმჭვრეტელი და წინასწარმეტყველიც აღმოჩნდა, რასაც მისი გებელსთან საუბარიც ადასტურებს. როგორც ამბობენ, საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებაზე საიდუმლო ინფორმაციამ გაუჟონა და ის რობაქიძის ყურამდეც მივიდა. ამიტომ მან, როგორც ჰიტლერის მრჩეველმა კავკასიის საკითხებში, თავი ვალდებულად ჩათვალია, აღნიშნულის შესახებ თავისი აზრი ჰიტლერისთვის მიეწოდებინა. ამის გამო იგი შეხვდა გებელს და მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა: „ბატონო იოზეფ, ქორის დონეზე ჩემამდე მოაღწია ინფორმაციამ, რომ ფიურერი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას აპირებს. და თუ ეს ასეა, გადაეცით ფიურერს, რომ იგი მო-

მაკედინებელ და გამოუსწორებელ შეცდომას უშვებს, და ამით გერმანელი ხალხისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს“. გებელსი მოულოდნელობისგან შეცბა, რადგან ომის დაწყების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ჰიტლერთან დაახლოებულმა ძალიან ვინო რემ იცოდა. რობაქიძისგან ამის მოსმენა მისთვის მოულოდნელი და გამოგნებელი იყო. მცირე შეყოვნების შემდეგ მან აზრი მოიკრიფა, გონება დაძაბა და ძალზე უდარდელი ტონით, ვითომ არაფერი მომხდარაო, უპასუხა: „კი მაგრამ, საიდან მოიტანეთ ასეთი ქორი და სიჭრუე, რომლის მსგავსი ბუნებაში არ არსებობს? ჩვენ ახლახან საბჭოთა კავშირთან დავდეთ თავდაუსხმელობისა და ურთიერთთანამშრომლობის პაქტი, რომელსაც კეთილსინდისიერად ვასრულებთ. და რომელ ომზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? ასეთი ინფორმაცია გავრცელება მხოლოდ ჩვენი მტრების ნისქვილზე ასხამს წყალს, რომლებსაც უნდათ, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ურთიერთობა დაიძაბოს“. ნაძალადევი სიმშვიდით დაასრულა თავ-

ვისი სათქმელი გებელსმა. მიუხედავად ამისა, გებელსი ამ ინფორმაციამ ძალიან დააფიქრა, ათასი აზრი უტრიალებდა თავში, ფიქრობდა, ეს კავკასიელი რობაქიძე სტალინის თანამემამულეა და შემოგზავნილი აგენტია ხომ არ არისო. მაგრამ ბოლოს მაინც ცნობისმოყვარეობამ სძლია და საკმაოდ გულგრილად უპასუხა: „მართალია, ამის მსგავსი არაფერი ხდება, მაგრამ დაუშვით და ფიურერი მართლა აპირებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რატომ თვლით, რომ ის მომაკედინებელ შეცდომას უშვებს?“. დაამთავრა შეკითხვა გებელსმა და გამომცემლად ჩახვდა რობაქიძის თვალებში. რობაქიძემ მისთვის ჩვეული დამაჯერებლობით უპასუხა: „მე კავკასიელი გახლავარ, საქართველოდან, ბრწყინვალედ ვიცნობ ჩემი სამშობლოს, საქართველოს ისტორიას, ასევე ძალიან კარგად ვიცნობ რუსეთის ისტორიასაც, რის საფუძველზეც შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ საქართველო მტერთან ბრძოლაში მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ოდითგანვე განიცდიდა ცოცხალი ძალების ნაკლებობას, სამაგიეროდ ყოველთვის ჭარბად ჰყავდა დიდი და ძლიერი მხედართმთავრები. რუსეთს კი პირიქით, ოდითგან ჭარბად ჰყავდა ცოცხალი ძალი, მაგრამ არ ჰყოფნიდა დიდი და ძლიერი მხედართმთავრები. დღეს ეს პრობლემა მოხსნილია, ვინაიდან ქართველი სტალინის სახით რუსეთს ჰყავს დიდი და ძლიერი ქვეყნის მმართველი და მხედართმთავარი, ხოლო ცოცხალი ძალა — ჭარბად, ამიტომ მე არ ვურჩევ ფიურერს მის წინააღმდეგ ომის დაწყებას. არ იფიქროთ, რომ მე სტალინის სიყვარული მაღაპარაკებს. არა, მე მას ვერ

ვითან, ჭირვიტ მეზობლება, მძულს, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა ასეთია და მას ანგარიში უნდა გაუწიოთ“, — დაამთავრა თავისი სათქმელი ბატონმა რობაქიძემ“. ისე აგზავდა ყოველივე კარგი, როგორც ეს ჰიტლერს აუხდა. ამიტომ ასეთი დონის მწერალს და შორსმჭვრეტელს კაცს უფრო მკაცრად მოეპოვებოდა მის მიერ შექმნილი ნებისმიერ ნაწარმოებზე თუ პუბლიცისტურ ნერილებზე. ჩემი აზრით, ბ-ნი რობაქიძე, როგორც მწერალი, ნამდვილად დიდია, მაგრამ როგორც პიროვნება იგი პატარა, სუსტი და უნებისყოფი ადამიანია. ახმორდია, რასაც იგი თავისივე შეამოქმედებით ამტკიცებს.

## ბრიგოლ რობაქიძე — ემიგრანტი თუ ეოლატა

ბასაგებია, რომ სტალინი და კომუნისტები არ მონონდა, არ უნდოდა მათთან ერთად ცხოვრება და ამიტომ გაცლა და ემიგრაციაში ყოფნა ამჯობინა, მაგრამ ქვეყნის ლალატს და ჰიტლერის მხარეს დგომას ვინ აიძულებდა, ვერაფრით გამიგია. იმ პერიოდში ძალიან ბევრი ქართველი იმყოფებოდა ემიგრაციაში, მაგრამ ჰიტლერთან ერთად თავიანთი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი საკმაოდ მცირე ნაწილი თუ მონაწილეობდა.



ბრიგოლ რობაქიძე

არც ბაქრაძის მეხოტბე ვარ და მითუმეტეს — ლადარიაში, მაგრამ მინდა ვაღიარო, რომ ლადარიაშიც კი ყოველგვარად და შეპარვით, ვითომ რედაქციას ეს ნაწარმოები ცალკე არ უნდა დაეგჭედა და მის ტომეულებში უნდა შესულიყო ამ ქვეტექსტით, ფაქტობრივად, გააკრიტიკა რობაქიძე თავისი „ჰიტლერი“. ბ-ნ ლაშასაც

ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც ნაძალადევი ობიექტურობით შეაფასა მისი „ჰიტლერი“. რაც შეეხება იმ ქართველებს, რომლებიც ამჯობინებდნენ ემიგრაციას, მაგრამ ქვეყნის ლალატს და ჰიტლერის მხარეს დგომას ვინ აიძულებდა, ვერაფრით გამიგია. იმ პერიოდში ძალიან ბევრი ქართველი იმყოფებოდა ემიგრაციაში, მაგრამ ჰიტლერთან ერთად თავიანთი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი საკმაოდ მცირე ნაწილი თუ მონაწილეობდა.



აქ ფონეა სასაბჭოლოდ გამოიყარება ზოგადად მოსახლეობის მიზნების, რომ ჰიტლერი თითქოს საქართველოს განთავისუფლებას ზრუნავდა. ფაქტია, რომ მის გეგმაში შედიოდა დიდი კავკასიის შექმნა, სადაც აქარა არ შედიოდა, რაზეც იგი დასტურებულია და თუკათის შექმნა უნდა გადსაუყოფო.

რაც შეეხება იმ ქართველებს, რომლებიც ამჯობინებდნენ ემიგრაციას, მაგრამ ქვეყნის ლალატს და ჰიტლერის მხარეს დგომას ვინ აიძულებდა, ვერაფრით გამიგია. იმ პერიოდში ძალიან ბევრი ქართველი იმყოფებოდა ემიგრაციაში, მაგრამ ჰიტლერთან ერთად თავიანთი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი საკმაოდ მცირე ნაწილი თუ მონაწილეობდა.



შალვა მალაქაძე



სტალინი, რუზველტი და ჩარჩილი დროში ვერ ეტყვიან და სტალინი ამბობს: „იქნებ შევწყობდით?“ ჩარჩილი წამოხატება და შესახებ: „მზად ვარ, ორი დღე არაფერი ვჭამო, ოღონდ დავამთავროთ!“ ჩარჩილის მხრიდან, ამბობენ ანალიტიკოსები, ასეთი საქციელი თავიდან იშვებოდა, ორი დღის უჭმელობა მისთვის გმირობის ტოლფასი იყო.

„საქართველო და მსოფლიო“ კვლავ და კვლავ უბრუნდება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ანტიპიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა ურთიერთობის ფართო მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილ საკითხებს. „ვიკილიქსის“ ჭორ-მართლისა და ცალკეული ჩინოვნიკების სუბიექტურ მოსაზრებათა ფონზე, ის, რაზეც ამ პუბლიკაციაში ვისაუბრებთ, გაცილებით სანდო ჩანს და ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოსაა. დღეს ორ პრობლემას შევხებით: მოკავშირეთა ურთიერთდობისა და ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხებს, რომლებსაც სპეცსამსახურების — დაზვერვის ჭრილში იმ დოკუმენტებზე დაყრდნობით განვიხილავთ, რომლებიც არქივებში ინახებოდა გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“.

**ჰოპკინსმა სტალინს თვალაუბრი ჩახადა**

ობივაციის დონზე ცნობილია, რომ ომის წლებში მოკავშირეთა ურთიერთობა კონცენტრირებული იყო ლენდ-ლიზსა და მეორე ფრონტის გახსნაზე. ლენდ-ლიზი, მოგვხსენებათ, იყო ამერიკის მიერ მოკავშირე ქვეყნებისთვის იარაღის, საბრძოლო მასალებისა და ტყვიის-წამლის, სტრატეგიული ნედლეულის, სურსათის და ა.შ. მიწოდების სისტემა.

უანგარო იყო, ვერ იტყვი, მაგრამ — ფრიად აუცილებელი და საჭირო. ოქროთი გადაიხადა საბჭოთა კავშირმა, სრულად გაისტუმრა ვალი. ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა ობივაციის კვერთხით იყო, რომელიც დიდხანს ცხვებოდა და საბოლოოდ თეირანის კონფერენციის შემდეგ ეშველა.

ისტორიკოსების აზრით, მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურება იმის მაჩვენებელია, რომ მოკავშირეთა შორის ნდობა-უნდობლობის საკითხი ყოველთვის იდგა დღის წესრიგში, თუმცა ცვალებადი, მეტ-ნაკლები სიმძაფრით; იგი იყო ერთგვარი საჯილდო ქვეა, რომელიც ამ ურთიერთობებს ხან სრული პოზიტივით გამოავლენდა, ხან ალოგიკურ ჩიხში შეაგდებდა.

ასეთი კანონზომიერება 1941 წლის ივლისის პირველივე დღეებიდან გამოაშკარავდა. ამერიკელების წინაშე მთელი კატეგორიულობით დადგა საკითხი: შეიძლება თუ არა, ენდონ საბჭოთა კავშირს ლენდ-ლიზის ამოქმედების საკითხში? შეიძლება კი იყვნენ დარწმუნებულები, რომ ამერიკული დახმარება უძირო ქვეყრში გადაყრილ მილიონებამდე არ დაუჭრებოდა? დაეჭვების საფუძველი აქვთ, რადგან ევროპისა და ამერიკის სპეცსამსახურების ანალიტიკური ინფორმაციით, საბჭოთა კავშირი ორ-სამ თვეს თუ გაუძლებს პიტლერული არმიის შეტევას და ზამთრის დადგომამდე თავის ყველა სტრატეგიულ ცენტრს დათმობს.

ვითარებაში გასარკვევად აშშ-ის პრეზიდენტი რუზველტი მოსკოვში თავის მრჩეველსა და სპეციალურ თანაშემწეს — ჰარი ჰოპკინსს აგზავნის. ჰოპკინსის მისია ჭეშ-

მართების მომენტი უნდა გახდეს შტატების ხელმძღვანელობისთვის, თვალის ახევა.

მეორე მსოფლიო ომმა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეს-ესაა გადაინაცვლა, უკვე ბომბავენ მოსკოვს ლუფტ-ჰანზას ბომბდამშენი თვითმფრინავები, საჰაერო განგაში ყოველდღე ცხადდება საბჭოთა დედაქალაქში, პიტლერი დღე-ღღე შეის ადებით იმუქრება... ჰოპკინსი, 50 წელს გადაცილებული, ავადმყოფი კაცი, მოსკოვში მოფრინავს ბომბდამშენით, რომელიც ასეთი ხანგრძლივი ფრენისთვის საჭირო კომფორტს მოკლებულია — მთელი გზა რკინის მრგვალ სკამზე ზის. ესაა და ეს.

„ჩამოდის სპეციალურად, რათა სტალინს ჩახედოს თვალებში. რა დანახა? მან დაინახა კაცი, რომელიც ფლობს სიტუაციას,“ — შენიშნავს ამერიკის სპეცტლანა ჩერენაია.

ისტორია მეორდება. ვერ შევფასებთ, როგორი ხარისხით, მაგრამ თითქმის 70 წლის შემდეგ ბუმი-უმცროსი თვალებში ჩახედავს ვლადიმერ პუტინს იმავე მიზნით — შეიძლება თუ არა მისი ნდობა? მამინ სხვა დრო იყო — დრო ტიტანების...

განვავრობო ციტირებას: „და აი, ზის ეს ადამიანი სტალინის წინაშე. და იწყება ჩვენ გვეჭირდება ამდენი ტანკსაწინააღმდეგო, ამდენი ეს, იმდენი ის... ესე იგი, იყო სრულყოფილი მომზადება, სიტუაციის სრულად ფლობა. შემდეგ ასეთი მომენტი იჩენს თავს: მას (ჰოპკინსს) სურს, გაიგოს, გაუძლებენ თუ ვერ გაუძლებენ (რუსები), რადგან უკვე დაეცა მოგილევი, უკვე დაეცა სმოლენსკი, გერმანელები მოსკოვისკენ მიიწევენ... ჰოპკინსი გადაწყვეტს — გაუძლებენ! ეს ძალიან საინტერესო მომენტი, რომელიც იკვეთება ჰოპკინსის ეგრეთ ნოდებული დღიურების ჩანაწერებში, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა“ (გარდაიცვალა 1946 წელს).

ჰოპკინსი ბრუნდება შტატებში, ხვდება რუზველტს და ამოქმედდება ლენდ-ლიზის მანქანა. მართალია, ამის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ამერიკელები მხოლოდ წლის ბოლოს მიიღებენ,

# სიპართლე მოკავშირეების, ლენდ ლიზისა და იოსებ სტალინის შესახებ



სტალინი, რუზველტი, ჩარჩილი თეირანის კონფერენციაზე. 1943 წლის ნოემბერი

მაგრამ მანქანის ძრავა, როგორც ამბობენ, ივლისის ბოლოსვე ჩაირთო.

ჩაირთო. ნდობა-უნდობლობის პრობლემა დარჩა. ორივე მხარეს ჰქონდა დაეჭვების ისტორიული მიზეზები.

ამერიკელებსა და ინგლისელებს ყოველთვის აეჭვებოდათ გერმანია-საბჭოთა კავშირის 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულება თავდაუხსმელობის შესახებ — ვაითუ, ამ პაქტის საფუძველზე რუსებმა გერმანელებთან დადონ სეპარატული ზავი და გამოვიდნენ ომიდან... ვინაჩნაშია მოლოტოვის არქივის ფონდში, რომელიც მხოლოდ 2006 წელს ბაიხსნა, ისტორიკოსების რწმუნებში, დაცულია მხოლოდ მისი ბარათი მოლოტოვის ვინაშიაში. 1939 წლის 22 აპრილის კლიმენტევიჩის კამეოში ჩაბრუნდა მისი მისწრაფი: „მოკრა, საფრანგეთის მთავრობამ მოგვცა ნიშანი, იგი ყველა ჩვენი მოთხოვნის დათანხმდა. რა უნდა გავაკეთოთ?“

საეციალისტები ამტკიცებენ, რომ 1941 წელს მოკავშირეებს სადაზვერვო საქმიანობაში ორი უმნიშვნელოვანესი გარღვევა ჰქონდათ. ინგლისელებმა გაშიფრეს გერმანული შიფრი „ენიგმა“, ამერიკელებმა — იაპონელების სამხედრო-საზღვაო კოდი „მეჯიკი“. ინგლისელები კითხულობდნენ ბერლინსა და ჯარებს შორის მიმოწერას, საჯარისო, სტრატეგიულ მიმოწერას მათ შორის. ამერიკელები — პირველწყაროდან იაპონელების ცნობებს.

საეციალისტები ამტკიცებენ, რომ 1941 წელს მოკავშირეებს სადაზვერვო საქმიანობაში ორი უმნიშვნელოვანესი გარღვევა ჰქონდათ. ინგლისელებმა გაშიფრეს გერმანული შიფრი „ენიგმა“, ამერიკელებმა — იაპონელების სამხედრო-საზღვაო კოდი „მეჯიკი“. ინგლისელები კითხულობდნენ ბერლინსა და ჯარებს შორის მიმოწერას, საჯარისო, სტრატეგიულ მიმოწერას მათ შორის. ამერიკელები — პირველწყაროდან იაპონელების ცნობებს.

## ზორბა არ იყო სუპერაბნეტი

ჩვენთან დღემდე დამკვიდრებულია მითი, რომ საბჭოთა სუპერმზვერავმა ზორგემ ჯერ კიდევ 1941 წლის ოქტომბერში (სექტემბერსაც უმატებენ) შეატყობინა სტალინს, რომ იაპონია საბჭოთა კავშირს თავს არ დაესხმება. და ამიტომ სტალინმა შორეული აღმოსავლეთიდან მოხსნა ციმბირის დივიზიები და მოსკოვისკენ გადმოიხრია.

სიცრუეა! რადგან გადაწყვეტილება ციმბირის დივიზიების გადმოსროლის შესახებ ადრე იყო მიღებული და საარმიო შენაერთები „ზორგეს“ შეტყობინების პერიოდისთვის უკვე მოემართებოდნენ მოსკოვისკენ. საარქივო დოკუმენტები ამას დაბეჯითებით ირწმუნება.

ზორგესგან კი არა, ვაშინგტონიდან მოდიოდა ეს ინფორმაცია, დაბეჯითებით აცხადებენ ანალიტიკოსები. იმასაც ამბობენ, რომ რუზველტს ქალიან უნდოდა ამ ინფორმაციის სტალინისთვის მიწოდება, მაგრამ იმის გამო, რომ იმისთვის საჭირო იყო საბჭოთა კავშირის საშუალებების მიწოდება — რუსებს ვერ გაუძლიერებდათ, იაპონელებმა დაიპყრეს რომ ვაშინგტონი.

არგუმენტი პრიმიტიულია და გერმანელებთან შესაძლო სეპარატული ზავის დადების ეფუძნება, რომლის ეჭვი ამერიკელებს აკვიატებული ჰქონდათ: ვაითუ რუსები შემოუტრიალდნენ გერმანელებს და უთხრან, რომ იაპონური კოდი გაშიფრული გვაქვს. გერმანელები ეტყვიან იაპონელებს და — „ჩაუგვადებ და ამოვიყვან ჩემს ძმობილ ქიან-ჭველასო“.

სუპერაბნეტი ამერიკელები შიშობდნენ, რომ ომი იაპონელებთან გარდაუვალი იყო და ის კოზირი, რომელიც ხელთ ჰქონდათ, შესაძლოა, დაეკარგათ. ოფიციალური არხები გადაიკვტა. ამოქმედდა კონფიდენციალური

რი საშუალებები, პირდაპირ ვეჭვავთ, დაზვერვა. დიპლომატიურ არხებსაც ნუ უგულვებლევყოფთ. ინფორმაცია საბჭოთა ხელმძღვანელობამდე ამ გზით აღწევდა.

ციმბირის პირველი დივიზიები უკვე იბრძოდნენ სმოლენსკთან და ვიაზმასთან. ზორგე ინფორმაციის ერთადერთი წყარო არ ყოფილა, არც — უეჭვლად სანდო, უფრო დაყოვნებული ინფორმაციის წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ.

რატომ წარმოჩნდა ასე გამოკვეთილად ზორგეს ფიგურა? იმიტომ, ირწმუნებიან დაზვერვის სპეციალისტები, რომ ინფორმატორების სიმრავლეს ჩვენთან, როგორც ნესი, ასაიდუმლოებდნენ და იაპონელებთან ურთიერთობის ეს ისტორია „ლეგენდირებული იყო ზორგეზე“.

ნიმანდობლივია, რომ ჩერჩილსაც, კვდებოდა, ისე უნდოდა სტალინისთვის ეცნობებინა „ენიგმისა“ და „მეჯიკის“ გაშიფრის ამბავი და, მასადადამე, მიეროდებინა კიდევ ამ გზით მიღებული ინფორმაცია, მაგრამ, როგორც ირკვევა, დაზვერვამ არ მისცა ამის უფლება.

მიზეზი და არგუმენტები? სეპარატული გარიგება რომ დაიდოს, მერე რა მოხდება? სეპარატული ზავის დადების ძალიან დიდ ხანს ეშიწოდათ.

## სტალინს უნდა აღედგინა ინფორმაციას

სტალინს არ სჯეროდა, რომ მოკავშირეები მართლაც ეშვადებოდნენ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას. და ჰქონდა ამის საფუძველი — წლები გადიოდა და მეორე ფრონტი არ ჩანდა. მოკავშირეები კი ეშვადებოდნენ. ძალიან გაჭიანურდა ეს მზადება. საბოლოოდ სამოკავშირეო გადაწყვეტილებას თეირანის კონფერენციაზე მიიღებენ (1943 წლის 28 ნოემბერი — 1 დეკემბერი), რომლის მიხედვით, მეორე ფრონტი არა უგვიანეს 1944 წლის 1 მაისს უნდა გახსნილიყო.

ინგლისელებს და ამერიკელებს საამისოდ ყველაფერი მზად ჰქონდათ ჯერ კიდევ 1943 წლის აგვისტოს დასაწყისისთვის.

დაბრკობა აქვს გადაულახავი უნდობლობა იყო. სტალინს არ აცნობებენ, რაც ხდება. „სტალინს არ სჯერა — შესაბამისად, ეჭვიც ეპარება, რომ მოკავშირეები მართლაც ეშვადებიან. რატომ არ აცნობებენ? ინგლისელებს, განსაკუთრებით მი-6ს — ინგლისის დაზვერ-





www.geworld.net  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პროექტი ითვალისწინებდა ლიბიის სანაპიროებზე მდებარე რას-ლანუფის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მწყობრიდან გამოსვლას. ეს ქარხანა ყოველდღიურად 200 ათას ბარელ შავ მარცხელზე გადამამუშავებდა. ქარხანა მწყობრიდან უნდა გამოსულიყო „STUXNET“-ის მსგავსი ვირუსის დახმარებით. სწორედ ამ ვირუსის დახმარებით დაზიანდა შარხან ირანში ურანის გამდიდრების პროგრამა.

# სასაფრთხო ბოქსი ნატოსთვის

აშშ-ის ინციტივით, ჩამოვდგო კადაფის რეჟიმი, ბოლო თაობის „საინფორმაციო ოპერაციების“ პროგრამის გამოცდის წინაპირობად იქცა. ლიბიაში გამოიკვლია შეტევათა ახალი ტიპები, რომლებიც ამის შემდეგ სრულად შეცვლის საომარი მოქმედებების წარმოების კონცეფციას დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებში.

კავშირგაბმულობისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებზე ამ კიბერ-შეტევების შედეგი იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების ადმირალი გერი რაფხედი არ მოერიდა და დიდი ენთუზიზმით განუცხადა ამის შესახებ ინტერვიუში ოპოზიციურ სპეციალიზებულ გამოცემა „Aviation Week“-ს. ადმირალი მა რაფხედმა მოიხსენია დიდი და საშუალო დამორბების საზღვაო სარაკეტო სისტემები „SA-5“, „SA-6“ და „SA-8“, ასევე ბოლო თაობის სისტემები „SA-24“. ამ ინფორმაციის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვენესუელისთვის, რადგან სწორედ ეს სისტემები იყიდა ამ ქვეყანამ აშშ-ის მხრიდან პიპოთეზური თავდასხმის შემთხვევაში თავდასაცავად. „SA-24“ სისტემის გამოყენება ლიბიაში სამხედრო წრეების ახმაურება განაპი-

ობა, რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც შეიარაღებულმა შევიდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ეს უახლესი რუსული სისტემები. საიტ „ვიკილიქსზე“ გამოქვეყნებულ საიდუმლო დოკუმენტებში ეწერა, რომ ვენესუელის მთავრობამ სწორედ ეს სისტემები შეიძინა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ლიბიაში სხვა სახის „SA-24“-ები დაამონტაჟეს. ადმირალ რაფხედის განცხადებებიდან ირკვევა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების მწყობრიდან გამოსვლას გამოიყენებოდა „Growler“-ის სიგნალების ბლოკირებისთვის 2009 წლიდან გამოცდის რეჟიმში მყოფი ელექტრონული მოწყობილობები, რომლებიც ლიბიის სანაპიროებთან მდგომ გემებსა და წყალქვეშა ნაგებობებზე დაამონტაჟეს. ადმირალის განცხადებით,

მომავალში საბრძოლო მოქმედებები დაიწყება და წარმართება ელექტრომაგნიტურ ველზე. პროექტ „CYBER DAWN LIBYA“-ს გამომყვანებელი ვერსია იმის დასტურია, რომ ლიბიის სანაპიროებზე მდებარე კომპიუტერული უსაფრთხოების ექსპერტები და ისეთი კომპანიები, რომლებიც „VERYSIGN INC“-ს პროექტი „Cyber Dawn Libya“, რომელშიც 21 სპეციალისტი მონაწილეობდა, ორგანიზაცია „Cyber Security Forum Initiative“ (CSFI)-ის მიერ შემუშავდა. ეს იყო სხვადასხვა ქვეყნის აკადემიკოსებისა და კორპორაციების ხელმძღვანელებისგან შედგენილი ჯგუფი. პროექტის ერთ-ერთი შემქმნელი და CSFI-ის დამფუძნებელი კარმი ხიჯაზი არის საინფორმაციო დაზვერვით დაკავებული კომპანია „Unveillance“-ის გენერალური დირექტორი. არსებული ინფორმაციის მიხედვით, ამ ორგანიზაციამ დაახლოებით 1000 საფოსტო შევრეზე განახორციელა შეტევა და დაკავებული იყო ლიბიის ელექტ-



რონული ინფრასტრუქტურის განადგურებით. პროექტი მონაწილეობდა ჯერ ბარდინი, კრიპტოანალიზის სპეციალისტი, აშშ-ის ნაციონალური უშიშროების სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი. პროექტი ითვალისწინებდა ლიბიის სანაპიროებზე მდებარე რას-ლანუფის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მწყობრიდან გამოყვანას. ეს ქარხანა ყოველდღიურად 200 ათას ბარელ შავ მარცხელზე გადამამუშავებდა. ქარხანა მწყობრიდან უნდა გამოსულიყო „Stuxnet“-ის მსგავსი ვირუსის დახმარებით. სწორედ ამ ვირუსის დახმარებით დაზიანდა შარხან ირანში ურანის გამდიდრების პროგრამა. აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც ზემოხსენებული კიბერშეტევების თაობაზე კითხვები დაუსვეს, არც ადასტურებდნენ, მაგრამ არც უარყოფდნენ მსგავსი ოპერაციის განხორციელების შესახებ ინფორმაციას.

პენტაგონის უკანასკნელი დოკტრინა კიბერშეტევებს სამხედრო მოქმედებებთან აიგივებს და შესაბამისად, თავდაცვაში მათ გამოყენებას უშვებს. კიბერშეტევების ეთიკური ასპექტების მიმოხილველი უილიამ ბეილსი ირწმუნება, რომ აშშ-ის სამხედრო დოკტრინა კომპიუტერულ სისტემებზე შეტევებსაც ითვალისწინებს და სხვა იმ კატეგორიის სამხედრო მოქმედებებსაც, რომლებიც „საინფორმაციო ოპერაციების“ ტერმინის ქვეშ გაერთიანებას ექვემდებარება. საინფორმაციო ოპერაციები განისაზღვრება როგორც მონაწილეობის ინფორმაციისა და საინფორმაციო სისტემების განადგურების მიზნით განხორციელებული ქმედებები საკუთარი ინფორმაციისა და საინფორმაციო სისტემების დაცვისას.

მიუხედავად იმისა, რომ კადაფის ხელისუფლება, პრინციპში, ვერ შეძლებდა აშშ-ისა და ნატოს მიერ განხორციელებულ მასობრივ კიბერშეტევებს „CSIF“-მა მოახერხა იმ ჰაკერების, სულ მცირე, 10 ჯგუფის იდენტიფიცირება, რომლებიც ლიბიის ხელისუფლებას გარკვეული მიზნების მიღწევაში უწყვეტად დახმარებდა. ამ ჯგუფებიდან ერთ-ერთი შედგებოდა ერაყული „Iqzid“-ის მეომრებისგან, რომელთაც ვირუს „Here You Have“-ის შემქმნელს „ელექტრონული ჯიჰადი“ გამოუცხადეს. სავარაუდოდ, სწორედ ამ ვირუსის შეტევის მსხვერპლნი გახდნენ ისეთი კორპორაციები, როგორცაა „Google“, ამერიკის კოსმოსური სააგენტო „NASA“, ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი სადაზღვევო სააგენტო „AIG“ და ა. შ. ლიბია ბოლო თაობის „საინფორმაციო ოპერაციების“ გამოცდის პირველი პოლიგონად იქცა და, თუ მიღწეული წარმატებების მიხედვით ვიმსჯელებთ, ის უკანასკნელი ნამდვილად არ იქნება. *Diario de America*

# როგორ გავსდეთ ნატოს საშიშვნე

ახლა დამასკოს ქუჩებში საღამომით არაბული რეპისა და გოგონების სიცილის ხმა ისმის, ყავის სურნელი ტრიალებს და ქალაქი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. სულ რამდენიმე თვის წინ კი საღამომით ქუჩები ცარიელი იყო. უკანასკნელი თავების მანძილზე სირიელები შეიცვალნენ. ისინი გაცილებით უფრო მობილიზებული, ნაკლებად გულუბრყვილონი და ფრთხილები გახდნენ. ახლა ისინი ერთმანეთის შესახებ ცნობებს აგროვებენ, რომ იცოდნენ, ვის შეიძლება ენდონ და ქუჩაში სიარულისას ინსტიქტურად იყურებიან სახლების სახურავებზე, რათა დარწმუნდნენ, რომ იქიდან გამველეებს სნაიპერები არ უმიზნებენ.

კითხვებზე ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ყველა ერთხმად პასუხობს, რომ ეს საშიშნელება, რაშიც ქვეყანა გახვედეს, უკვე თითქმის დასრულდა. იმისათვის, რომ ქვეყანაში ნატოს ჯარი შევიდეს, ორიდან ერთი პირობა მაინც უნდა დაკმაყოფილდეს: ქვეყანაში ოპოზიციური ანკლავი, ლიბიური ბენლახის მსგავსი ხელისუფლების მონაწილედგეთა ხელში ჩავარდნის ქალაქი უნდა არსებობდეს ან უნდა ეწყობოდეს სისხლიანი პროვოკაციები, რომლებშიც არმიის დადანიშნულება გახდებოდა შესაძლებელი. მიუხედა-

ვად დიდი მცდელობისა და ფინანსური გავლენისა, პირველი ვერ მოხერხდა ვერც დერააში, ვერც ხამაში, ვერც ჯისრ შუგურეში, ვერც ლატაკიაში, ვერც ბენიასში, ვერც აბუ კა-მალში. სტივენ ელიოტის რედაქციით გამოცემულ აშშ-ის მომდევნო შეჭრების ამსახველ ნიგნში ეს უკანასკნელი სპეციალურად იქნა აღნიშნული როგორც შეჭრისა და მთელ ქვეყანაში შემდგომი დესტაბილიზაციისთვის გამოსაყენებელი ობიექტი. ახლა ბანდიტური ჯგუფები ჯერ კიდევ რჩებიან ხომსა-

სა და ილიბის რაიონებში, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა უკვე განადგურებული ან დაპატიმრებულია. რაც შეეხება სისხლიან პროვოკაციებს, მაღლობა ლმეროს, ჯერ-ჯერობით მათი თავიდან მოცილება ხერხდება. ბევრს ახსოვს, თუ როგორ განდგა პრესაში ცნობა გემიდან ქალაქ ლატაკიას დაცხრილების შესახებ, მაგრამ ზღვიდან არანაირი სროლა არ ყო-

ფილა: იქ იყვნენ მხოლოდ საპატრულო კატერები, რომელთა ამოცანა ბანდიტებისთვის მეზობელ ქალაქებში გადასვლისთვის ხელის შეშლა იყო. რისთვის იყო საჭირო ეს ტყუილი? ვის სჭირდებოდა მსოფლიოს დარწმუნება, რომ ქალაქ სირიული არმია ესროლა? ტყუილი სჭირდებოდა ქალაქ ბანდიტებს, რომლებიც მაცერტოლად რამდენიმე საცხოვრებელი კვარტალი დანაღმეს. მათ ზღვით წასვლა, სახლების ადამიანებთან ერთად აფეთქება და შემდეგ იმის თქმა სურდათ, რომ მომხდარი სწორედ იმ საზღვაო სროლების შედეგი იყო.



ჯარის მიერ ბლოკირებული რაიონიდან ნასვლის საშუალება ბანდიტებს არ მისცეს, სახლებისა და საკუთარი თავის მათთან ერთად აფეთქება კი თავად აღარ ისურვეს. პროვოკაცია ჩაიშალა. არმიისგან მოსახლეობის დაცვის მიზნით, ნატოს დროშის ქვეშ დარაზებული თურქული ჯარების შეჭრაც არ გამოვიდა. არმიის წინააღმდეგ პროვოკაციები კი კვლავაც გრძელდება. მას კიდევ და კიდევ გრძელდება უიარაღო ხალხის დახმარება უარის მითქმული ოფიცრების სოციალურ ბაზის კვირა, რომ სირიის ტელეარხებზე არ გადასცენ პროდასავლური არხების მიერ გავრცელებული ანგარიშგამოცხადებით „საზღვაო სროლა“ საუბრობდა, როგორც მრავალათასიანზე. შემოდან დახვედვით კარგად ჩანს, რომ დემონსტრანტები ერთმანეთისგან სამი-ოთხი მეტრით დაშორებულ რიგებად მიდიან, 20-30-კაციანი რიგები, ანუ დაახლოებით 600 ადამიანი. მაგრამ ტელეკრანებზე აჩვენებენ არა ზემოდან, არამედ კუთხიდან ისე გადაღებულ კადრებს, რომ ამ 600 დემონსტრანტს 25 ათასად აღელვებს.

ანალოგიურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი დალესტის *utro.ru*



ანკარა თითქმის არ ფარავს სურვილს, ყველაზე გავლენიან რეგიონულ სახელმწიფომ იქცას და თვით ისლამურ სამყაროს ჩაუდგას სათავეები, მაგრამ მიზნის მიღწევის მეთოდები ჟურის სულიდან გამომდინარე ადგილობრივ შემოგარენში პირველადი სტრატეგიის გამოყენებულს ჰგავს. ამგვარი პოლიტიკით თურქეთის პრემიერ-მინისტრი რაჟეპ ტაიპ ერდოღანი თავის ქვეყანას ნამდვილ საფრთხეებად აქცევს და შესაძლოა სერიოზულ უსიამოვნებასაც გადააყაროს. თანამედროვე მსოფლიოში ხომ მრავალი სულიგანია.

# მეცხე ბაშაბაშოვი რღონა, რა!

თურქეთმა განაცხადა, რომ მზადაა, 2012 წლიდან გაყინოს თავისი ყველა კავშირი ევროკავშირთან, თუ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის სავარძელს საერთაშორისო აღიარების მქონე კვიპროსის რესპუბლიკის წარმომადგენელი დაიკავებს. ანკარის დემარში განპირობებულია მთელი რიგი გარემოებებით, მაგრამ მათგან უმთავრესი, მსოფლიოში უკვე ფესვგადგმული ტრადიციის შესაბამისად, კვლავ გახსნა და ნავთობს უკავშირდება.

ურთიერთობათა რთული და ჩახლართული ისტორიის გამო, ანკარა, პრინციპში, არ აღიარებს კვიპროსის რესპუბლიკას და მის ხელისუფლებას „სამხრეთ კვიპროსის ბერძნულ მთავრობას“ უწოდებს. ის გარემოება, რომ სწორედ ეს მთავრობა მთელს მსოფლიოში ქვეყნის ერთადერთ ლეგიტიმურ ხელმძღვანელობად ითვლება, თურქებს მხოლოდ მესამე ქვეყანასთან მოლაპარაკებებისას აყენებს უხერხულ მდგომარეობაში.

მიზეზი გახდა. თურქები, რომლებსაც სკოლის მერხიდან ასწავლიდნენ მოთხრობებს ბერძნული უღლიდან გათავისუფლების შესახებ, ახლა ამ უღელქვემ დაბრუნებაზე ოცნებობენ. გაერთიანების შესახებ 2004 წელს ჩატარებული რეფერენდუმის მიხედვით, 65%-მა უკან დაბრუნება მოინდომა. ამავე დროს ბერძნებს, რომელთაც ქვეყნის შესაბამისი წვლილი უნდა მიეღოთ, ურჩევნიან, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის. მათ თურქები არ უყვართ, მით უფრო — ღარიბი თურქები. ამის დამადასტურებელი გაერთიანების წინააღმდეგ ხმის მიმცემი 76%-იანი უმრავლესობაა.



